



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

15 07 2020წ.

№ 101

ქ. თბილისი

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის

ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების პროექტთა დაფინანსების თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურო დებულების მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საექსპერტო კომისიის 2020 წლის 14 ივლისის #10 დასკვნის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დაფინანსდეს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსში (კონკურსი 2/1) მონაწილე შემდეგი პროექტები:

ა) „წესების დაცვით“ – (პროდიუსერი შპს „მალჰოლანდ ფილმსი“, რეჟისორი - დოვერ ქოსაშვილი) – **350 000 ლარით;**

ბ) „სიჩუმის დარღვევა“ – (პროდიუსერი შპს “თეიქს ფილმი“, რეჟისორი - ელენე ნავერიანი) – **350 000 ლარით;**

2. ბრძანების პირველ პუნქტში განსაზღვრული პროდიუსერებისთვის თანხის გამოყოფა წარმოებაში ჩაშვების მიზნით, განხორციელდეს პროდიუსერების მიერ „ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6)

დირექტორი

გაგა ჩხეიძე